



დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

ლახამის ჰესი

მომზადებულია:

ლახამის ჰესის ESG გუნდის მიერ

2025 წელი

სარჩევი

1. აბრევიატურები.....	2
2. შესავალი	3
2.1. მიზნები	3
3. როლები და პასუხისმგებლობები	4
4. შესაბამისობის ჩარჩო.....	5
4.1. საქართველოს სამართლებრივი მოთხოვნები	5
4.2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები.....	5
5. დაინტერესებული მხარეები	5
5.1. დაინტერესებული მხარეების კატეგორიები.....	5
5.2. მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები	6
6. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებები	8
6.1. მოსამზადებელი აქტივობები	8
7. კონკრეტული ჩართულობის აქტივობები.....	9
8. საჩივრების მექანიზმი.....	10
9. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის რეესტრი	10
9.1. გენდერული ბალანსი	11
10. განახლება.....	11
დანართი 1: დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელება.....	12
ფორმა 1: შეხვედრის ჩანაწერები.....	12
ფორმა 2: საჩივრის ფორმა.....	13
დანართი 2: საჩივრების/პროტესტების/მოთხოვნების ჟურნალი.....	17
დანართი 3: სახელმძღვანელო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების შესახებ.	17

1. აბრევიატურები

აბრევიატურები	აღწერა
CCEH	კავკასიის სუფთა ენერჯის ჰოლდინგი
HPP	ჰიდროელექტროსადგური
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
H&S	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
NGOs	არასამთავრობო ორგანიზაციები
PAC	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი

2. შესავალი

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP) შემუშავებულია ლახამის ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) ფარგლებში. გეგმა ადგენს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემური ჩართულობის ჩარჩოს ელექტროსადგურის ოპერირების ეტაპის განმავლობაში.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მიზნად ისახავს პროექტსა და იმ პირებსა თუ ჯგუფებს შორის გამჭვირვალე კომუნიკაციის უზრუნველყოფას, რომლებიც შესაძლოა დაინტერესებული იყვნენ პროექტის საქმიანობით ან მასზე ზემოქმედებას განიცდიდნენ. სტრუქტურირებული ჩართულობის პროცესების მეშვეობით პროექტი მიზნად ისახავს კონსტრუქციული ურთიერთობების შენარჩუნებას ადგილობრივ თემებთან, საჯარო ინსტიტუტებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა განსაზღვრავს პრინციპებს, პროცედურებსა და პასუხისმგებლობებს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების, პროექტის საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებისა და პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ შედეგებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისთვის.

ამ გეგმის განხორციელება ხელს უწყობს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან, ლახამის ჰიდროელექტროსადგურისთვის გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან და შესაბამის საერთაშორისო გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობას, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მოთხოვნებთან, რომლებიც უკავშირდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და გამჭვირვალობას.

გეგმა ხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) ფარგლებში (შემუშავებულ სხვა გარემოსდაცვით და სოციალურ მართვის გეგმებთან კოორდინაციით, მათ შორის თემთან ურთიერთობის გეგმასა და საჩივრების მექანიზმის პროცედურებთან ერთად.

2.1. მიზნები

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის მიზანია უზრუნველყოს ლახამი ჰესის შესახებ შესაბამისი და ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება იმ დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც შესაძლოა დაინტერესებული იყვნენ ჰესის საქმიანობით ან მისი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან.

გეგმა ასევე მიზნად ისახავს მკაფიო პროცედურების ჩამოყალიბებას დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, კითხვებისა და პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ შედეგებთან დაკავშირებული საკითხების მიღებისა და განხილვისთვის.

გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP) მოიცავს საჩივრების განხილვის მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ხელმისაწვდომი არხების გამოყენებით წარადგინონ საკითხები ან საჩივრები, ხოლო კომპანიას უზრუნველყოს მათი დროული, გამჭვირვალე და სათანადო პროცედურებზე დაფუძნებული განხილვა.

3. როლები და პასუხისმგებლობები

ლახამი ჰესის ოპერირების ეტაპზე წინამდებარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული როლები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჰოლდინგის ESG და მდგრადობის მიმართულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის საერთო შედამხედველობაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკა შეესაბამებოდეს კორპორაციულ ESG პოლიტიკას, მდგრადობის ვალდებულებებსა და მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის ESG მენეჯერი პასუხისმგებელია პროექტის დონეზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების კოორდინაციასა და შედამხედველობაზე, ასევე იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჩართულობის პროცესები განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის ის შესაბამისად.

ოპერირების პერიოდში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის ანგარიშვალდებული და ეფექტიანი განხორციელების მხარდასაჭერად გამოიყენება შემდეგი მონიტორინგისა და მართვის ზომები:

- a) დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებული ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI) პერიოდულად კონტროლდება. მათ შორისაა საჩივრების გადაწყვეტის მაჩვენებელი (30 დღის განმავლობაში გადაწყვეტილი საჩივრების პროცენტული წილი), დაინტერესებული მხარეების შეხვედრებში მონაწილეობის დონე, სადაც ასეთი შეხვედრები ტარდება, და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების ინდიკატორები, სადაც მათი გამოყენება რელევანტურია;
- b) საჩივრების მართვის პროცედურები და საჩივრის ფორმები ხელს უწყობს საჩივრების განხილვის პროცესების, პასუხისმგებლობებისა და რეაგირების ვადების მონიტორინგს.
- c) დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებული ESG შესრულება პერიოდულად განიხილება, მათ შორის კვარტალური შიდა ESG შეფასებებისა და მონიტორინგის შეხვედრების ფარგლებში. აღნიშნული განხილვების შედეგები და გამოვლენილი საკითხები დოკუმენტირდება შიდა შეხვედრების ჩანაწერებში და გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისთვის. მონიტორინგის შედეგების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და დაკვირვებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ESG მენეჯერი ამზადებს ამზადებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის განახლების ან ცვლილებების წინადადებებს. შემოთავაზებული ცვლილებები დასამტკიცებლად ეგზავნება ჰოლდინგის ESG და მდგრადობის მიმართულების ხელმძღვანელს. დამტკიცების შემდეგ ცვლილებები აისახება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში და მათი განხორციელება ხდება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის ფარგლებში დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

4. შესაბამისობის ჩარჩო

4.1. საქართველოს სამართლებრივი მოთხოვნები

საქართველოს კონსტიტუცია (1995) უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას და პირების უფლებას, მიიღონ სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია თავიანთი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. ელექტროსადგურის კონტექსტში, საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად არეგულირებს მხოლოდ გარემოსდაცვითი ნებართვის პროცესთან დაკავშირებულ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობებს: 2018 წლის მდგომარეობით, მშენებლობის ან ოპერირების ეტაპზე მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნები არ არსებობს.

ევროკავშირის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობაში ეტაპობრივი ინტეგრაციის კვალდაკვალ, ელექტროსადგურს შესაძლოა გაუჩნდეს ახალი დაინტერესებული მხარეები, რომლებთანაც ჩართულობა საჭირო გახდება, მაგალითად აუზის სააგენტოები. ამ მიზეზით, SEP განახლდება ყოველწლიურად.

4.2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები

ლახამი ჰესი ხელმძღვანელობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების სტანდარტებითა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის თვალსაზრისით, აღნიშნული სტანდარტები ეფუძნება პრინციპს, რომ კონსულტაცია უნდა იყოს უწყვეტი, სტრუქტურირებული და გამჭვირვალე პროცესი, რომელიც გრძელდება ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია არის უწყვეტი პროცესი, რომელიც გრძელდება ჰიდროელექტროსადგურის მთელი ექსპლუატაციის განმავლობაში.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მოიცავს:

- 1) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას;
- 2) დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიულ ჩართულობას;
- 3) ყველა დაინტერესებული მხარისთვის ღია საჩივრების მექანიზმის არსებობას;
- 4) რეგულარულ მონიტორინგს.

5. დაინტერესებული მხარეები

5.1. დაინტერესებული მხარეების კატეგორიები

ჰესის დაინტერესებულ მხარეებს მიეკუთვნება ყველა პირი, რომელსაც პროექტთან მიმართებით პირდაპირი ან ირიბი ინტერესი აქვს:

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები:

- 1) მოსახლეობა;
- 2) ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები.

ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები:

- 1) მეზობელი თემები;
- 2) მიწის მესაკუთრეები
მიწის ან ბუნებრივი რესურსების მომხმარებლები (საძოვრები, ტყე)
ეკოსისტემური სერვისების მომხმარებლები.

მდინარისა და წყლის მომხმარებლები:

- 1) მეთევზეები;
- 2) მდინარის წყლის მომხმარებლები.

სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები:

- 1) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები;
- 2) ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები (და მათი რეგიონული სტრუქტურები), რომლებიც მონაწილეობენ ავტორიზაციებში, ნებართვებსა და ინსპექტირებაში: გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელი სამინისტროები;
- 3) ტექნიკური სამსახურები: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, Energo-Pro;
- 4) პოლიცია;
- 5) სამოქალაქო უსაფრთხოება, პირველადი დახმარებისა და სამედიცინო მომსახურებები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

- 1) ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
- 2) პროექტის არეალში ჩართული ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
- 3) ადგილობრივი და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები;
- 4) აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოება.

მედია:

- 1) ჟურნალისტები;
- 2) გაზეთები;
- 3) რადიო
- 4) ტელევიზიები;
- 5) ონლაინ საინფორმაციო პორტალები.

დასაქმება:

- 1) ჰიდროელექტროსადგურის მიერ დაქირავებული პერსონალი;
- 2) სამუშაოს მაძიებლები.

მესამე მხარეები:

- 1) პროექტის ქვედა ბიფში მდებარე ჰესები.

5.2. მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები

მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები არიან ის დაინტერესებული მხარეები, რომლებიც სხვადასხვა ინდივიდუალური მიზეზის გამო შესაძლოა ჰესის ზემოქმედებას არაპროპორციულად განიცდიდნენ ან უჭირდეთ საკუთარი უფლებების დაცვა. მათ მიეკუთვნებიან:

- 1) პენსიონერები;
- 2) ხანდაზმული პირები;
- 3) მრავალშვილიანი ოჯახები;
- 4) მარტოხელა მშობლები (მათ შორის, ოჯახები რომლებსაც უძღვებიან ქალები);
- 5) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებად რეგისტრირებული ოჯახები;
- 6) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- 7) იძულებით გადაადგილებული პირები.

8) პირები, რომლებსაც შესაძლოა უჭირდეთ ინფორმაციის მიღება ან საკუთარი უფლებების დასაცავად საჭიროებდნენ სპეციფიკურ დახმარებას; პანდემიურ მოვლენებზე მოწყვლადი პირები;

6. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დონისძიებები

6.1. მოსამზადებელი აქტივობები

ეს აქტივობები უნდა განხორციელდეს ოპერირების ეტაპის დასაწყისში და შენარჩუნდეს ჰიდროელექტროსადგურის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

აქტივობა	საშუალება	ძირითადი გზავნილები	სამიზნე დაინტერესებული მხარეები
ვებგვერდი	დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა ვების საშუალებით	<ul style="list-style-type: none"> - პროექტის მოკლე აღწერა - ESG ზემოქმედებების მართვა - საჯარო დოკუმენტაცია - საჩივრების მექანიზმი - პროექტის ESG მენეჯერის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია 	- ყველა დაინტერესებული მხარე
დასაქმებულების საინფორმაციო საქაღალდე	საინფორმაციო საქაღალდე ლახამი 2-ის სადგურის შენობაში	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზაციული სტრუქტურა; - საჩივრების მექანიზმი/ფორმა; - საჩივრების ყუთი; - პროექტის ESG მენეჯერის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია 	- დასაქმებულები
დაინტერესებული მხარეების რეესტრის შექმნა	შიდა რეესტრი	<ul style="list-style-type: none"> - დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყველა აქტივობისა და მიმართვის აღრიცხვა - კონკრეტული შეხვედრების ოქმების წარმოება 	- ყველა დაინტერესებული მხარე
მოწყვლადი პირების იდენტიფიცირება	შიდა დოკუმენტი	<ul style="list-style-type: none"> - ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების არეალში მოწყვლადად მიჩნეული შინამეურნეობების/პირების სია და საჭირო სპეციფიკური ჩართულობის ზომები 	- მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები

7. კონკრეტული ჩართულობის აქტივობები

აქტივობა	საშუალება	ძირითადი გზავნილები	სამიზნე დაინტერესებული მხარეები
მოწყვლადი პირები	მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები პროექტის ზემოქმედების არეალში	<ul style="list-style-type: none"> - მოწყვლადი დაინტერესებული მხარეები პროექტთან დაკავშირებით საჭირო ყურადღებასა და დახმარებას მიიღებენ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანაბრად - საჩივრების მექანიზმი 	<ul style="list-style-type: none"> - ქალის ხელმძღვანელობით არსებული შინამეურნეობები - ხანდაზმული პირის ხელმძღვანელობით არსებული შინამეურნეობები $\geq 60/65$ წელი - იძულებით გადაადგილებული პირები / ლტოლვილები / ეკომიგრანტები - შუღლედული შესაძლებლობის მქონე წევრების მქონე შინამეურნეობები - ეკონომიკურად მოწყვლადი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები) - პანდემიური მოვლენების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები
არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება	პროექტის ვებგვერდი	<ul style="list-style-type: none"> - ჰიდროელექტროსადგურის პრეზენტაცია - E&S სტანდარტი - საჩივრების მექანიზმი 	დაინტერესებული არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
მედია	პროექტის ვებგვერდი	<ul style="list-style-type: none"> - ჰიდროელექტროსადგურის პრეზენტაცია - E&S სტანდარტი - საჩივრების მექანიზმი - პრესრელიზი მოთხოვნის შემთხვევაში 	დაინტერესებული მედია

8. საჩივრების მექანიზმი

ჰიდროელექტროსადგურის ოპერირებამ შესაძლოა წარმოშვას უთანხმოებები, შეკითხვები ან საჩივრები. მათი დროულად და ეფექტიანად პრევენციისთვის, ან მათი მეგობრული გზით გადაწყვეტის ხელშეწყობისთვის, ჰიდროელექტროსადგურმა შექმნა დაინტერესებული მხარეების საჩივრებისა და საკითხების მიღებისა და განხილვის მუდმივი და ხელმისაწვდომი მექანიზმი.

საჩივრების მექანიზმი ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის (PAC) და დასაქმებულებისათვის. მექანიზმის ფარგლებში განიხილება მხოლოდ პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული მიმართვები. მათი წარდგენა შესაძლებელია პროექტის ESG მენეჯერთან ზეპირად, წერილობით, ელფოსტით ან ტელეფონით.

საჩივრების მექანიზმს კოორდინაციას გაუწევს ESG მენეჯერი, რომელიც ყველა მიღებულ მიმართვას შეიტანს საჩივრების მონაცემთა ბაზაში. კითხვები და მოთხოვნები, რომლებზეც დაინტერესებული მხარისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი ორჯერ არ გაიცა, გადაეცემა ჰოლდინგის შემდგომი რეაგირებისათვის. თუ ჰოლდინგიც ორჯერ ვერ გასცემს მომჩივნისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხს, მომჩივანს ეცნობება სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შესახებ.

კომპანიას შეუძლია მიიღოს როგორც ხელმოწერილი, ისე ანონიმური მიმართვები. თუმცა, თუ მომმართველს პასუხის მიღება სურს, მან უნდა მიუთითოს საკონტაქტო ინფორმაცია. მიმართვის ფორმიდან გამომდინარე, კომპანიის ESG მენეჯერი მომჩივანს უპასუხებს არაუგვიანეს 30 დღის ვადაში, ხოლო პირველადი პასუხი მას მიეჭოდება 10 დღის ვადაში და უზრუნველყოფს, რომ მიმართვა არ დაიხუროს მანამ, სანამ მხარე არ დაკმაყოფილდება პასუხით ან არ აირჩევს საჩივრების მართვის შემდგომ ეტაპებს.

9. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის რეესტრი

დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა მოითხოვს უწყვეტ ძალისხმევას, შესრულების რეგულარულ მონიტორინგს, მიღებული შედეგების ანალიზს და როგორც გარემოებების, ისე დაინტერესებული მხარეების საინფორმაციო საჭიროებების ცვლილებებზე დროულ ადაპტაციას. ამ მიზნით, ყველა მიმართვის, კითხვისა და საჩივრის სისტემური აღრიცხვა განხორციელდება შესაბამის რეესტრში. დაინტერესებული მხარეების მონიტორინგი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესრულების მონიტორინგისა და მოცემული გეგმის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, ჰესი გამოიყენებს შემდეგ ყოველთვიურ ინდიკატორებს:

#	ინდიკატორი	გუნდურულად	
		მონაცემები	დუზაგრეგირებული
		დიახ	არა
1	ჩატარებული ოფიციალური შეხვედრები	X	
2	მიღებული მიმართვების რაოდენობა	X	
3	დახურული მიმართვების რაოდენობა	X	
4	მიმართვებზე პასუხის გაცემის საშუალო დრო		X

5	10 დღის განმავლობაში პასუხგაცემული მიმართვების %	X	
6	საჩივრებად გადაკვალიფიცირებული მიმართვების %:	X	
7	სასამართლო საქმეების რაოდენობა: დაწყებული დახურული	X	
8	ჰესის ვიზიტორების რაოდენობა (მისი შექმნის შემთხვევაში) და მიმართვების თემები	X	
9	გადაუწყვეტელი საჩივრების რაოდენობა	X	
10	ჰესის ოპერირების პროცესის შესახებ ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ მედიაში გამოქვეყნებული მასალების/გადაცემების რაოდენობა	N/A	N/A

9.1. გენდერული ბალანსი

კომპანიის ESG მენეჯერი მონიტორინგს გაუწევს ქალთა მონაწილეობას ჰიდროელექტროსადგურის მიერ ორგანიზებულ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებებში. თუ ზოგადად ან კონკრეტული ტიპის ღონისძიებებში სისტემური დისბალანსი გამოვლინდა, კომპანიის ESG მენეჯერი მიიღებს ზომებს ქალებისა და მამაკაცების ჩართულობის დაბალანსებისთვის, ადგილობრივ კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობების გათვალისწინებით.

10. განახლება

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP) ფორმალურად გადაიხედება ყოველწლიურად, იანვრის ბოლომდე. ნებისმიერი საჭირო ცვლილება შემოთავაზებული და განხორციელებული იქნება ჰიდროელექტროსადგურის ESG მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის მიერ, მონიტორინგის შედეგების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და პროექტის განვითარებების საფუძველზე.

დანართი 1: დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელება

ლახამის ჰესი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელება

ფორმა 1: შეხვედრის ჩანაწერები

თარიღი: _____

ადგილი: _____

შემდგენელი:

მონაწილეები (გვარი, სახელი, პოზიცია): საერთო რაოდენობა: _____ კაცი: _____ ქალი:

-

-

არსებობის შემთხვევაში, დანართად დაურთეთ მონაწილეთა სრული სია.

შეხვედრის მიზანი და დღის წესრიგი:

-

-

განხილული საკითხები:

-

-

პროექტის მიერ წამოჭრილი საკითხები:

-

-

სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები:

-

-

მიღებული გადაწყვეტილებები და შემდგომი ქმედებები:

-

-

შეხვედრის შედეგად პროექტის მიერ განსახორციელებელი ქმედებები:

ლახამის ჰესი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელება

ფორმა 2: საჩივრის ფორმა

<p>ლახამის ჰესის პროექტის საჩივრის ფორმა</p> <p>ჰიდროელექტროსადგური ლახამის საჩივრის ფორმა</p>	
<p>ნაწილი ა: ინფორმაცია მომჩივნის შესახებ</p>	
<p>საჩივრის ნომერი -----</p>	
<p>მიღების თარიღი</p>	<p>საჩივრის შემოტანის მეთოდი</p>
<p>ადგილმდებარეობა / ქალაქი</p>	<p>ზეპირი <input type="checkbox"/> წერილობითი <input type="checkbox"/></p>
<p>რაიონი / უბანი</p>	<p>სხვა (მიუთითეთ):</p>
<p>მომჩივნის სახელი / მომჩივნის სახელი</p>	<p>ორიგინალი (თეთრი კოპია) – ოფიციალური გამოყენებისთვის</p> <p>ვარდისფერი კოპია – რჩება მომჩივანს</p>
<p>პირადი ნომერი / პირადი ნომერი</p>	<p>ყვითელი კოპია – უბრუნდება მომჩივანს გადაწყვეტილებასთან ერთად</p> <p>ორიგინალი (თეთრი კოპია) – ოფიციალური გამოყენებისთვის</p> <p>ვარდისფერი კოპია – რჩება მომჩივანს</p> <p>ყვითელი კოპია – უბრუნდება მომჩივანს გადაწყვეტილებასთან ერთად</p>
<p>მომჩივნის მისამართი / განმცხადებლის მისამართი</p>	
<p>მომჩივნის ტელეფონი</p>	
<p>მიწის ნაკვეთის საკადასტრო № /</p>	

პასუხი საჩივარზე:

[მიუთითეთ თარიღი]

[მიუთითეთ სახელი]

[მიუთითეთ მისამართი]

ჩვენი მითითება: [არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ]

თქვენი მითითება: [არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ]

ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია (ელფოსტა და ტელეფონი): [მიუთითეთ]

ძვირფასო [მიუთითეთ სახელი]

სათაური, მაგ.: საჩივარი ... შესახებ

გმადლობთ, რომ [თარიღი]-ს [თქვენს წერილში/ელფოსტაში/ჩვენს საუბარში] გაგვიზიარეთ თქვენი საკითხები.

როგორც გვესმის, თქვენ გაწუხებთ შემდეგი საკითხი/საკითხები: [ჩაწერეთ საკითხების თქვენეული გაგება; ერთზე მეტი პუნქტის შემთხვევაში გამოიყენეთ ნიშნულიანი ან დანომრილი სია].

ჩვენ განვიხილავთ თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებს. მზად ვართ შეგხვდეთ თქვენ მიერ დასმული საკითხებისა და ჩვენი განხილვის პროცედურების განსახილველად. [შესთავაზეთ თარიღი და/ან მიუთითეთ საკონტაქტო ინფორმაცია.]

თქვენ მიერ დასმულ საკითხებს გადაუდებელი წესით ვსწავლობ და სრულ პასუხს მოგაწვდით [მიუთითეთ სავარაუდო რეაგირების ვადა – არაუგვიანეს 28 სამუშაო დღისა].

ამ პერიოდში დამატებითი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, კვლავ დამიკავშირდეთ. ჩემი ელფოსტა და ტელეფონის ნომერი მითითებულია ზემოთ.

პატივისცემით

სახელი

თანამდებობა

დანართი 2: საჩივრების/პროტესტების/მოთხოვნების ჟურნალი



დანართი 3: სახელმძღვანელო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების შესახებ

